პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 სექტემბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 186 (9853) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XXIV ოლიმპიური თამაშები
## სეული, 1988 წელი

### საქართველოს სპორტსმენთა მონაპოვარი

⊙ **ოქროს მედლები: ნინო სალუქვაძე** (თბილისი, არმიის სპორტული კლუბი). – პისტოლეტით სროლა — 690 ქულა.
**ვლადიმერ გოგოლაძე** (თბილისი, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება) — ტანვარჯიში, გუნდური.

⊙ **ვერცხლის მედალი: ნინო სალუქვაძე** (თბილისი, არმიის სპორტული კლუბი). პნევმატური პისტოლეტი (საკვალიფიკაციო სროლაში ახალი მსოფლიო რეკორდი — 390 ქულა).

⊙ **ბრინჯაოს მედლები: ვახტანგ იაგორაშვილი** (თბილისი, არმიის სპორტული კლუბი). თანამედროვე ხუთჭიდი — 5367 ქულა.
**ამირან ტოტიკაშვილი** (თბილისი, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება), ძიუდო 60 კგ.

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი თენგიზ ბაჩეჩილაძე სეულიდან გვატყობინებს:

# ნაბიჯი ოლიმპიურ კვარცხლბეკზე

**საკუთარი** კედლების უპირატესობა სპორტში დიდი ძალაა. სამხრეთ კორეის გულშემატკივართა ზომას გადასული აქტიურობა ერთხელ მოკრივეებმა გამოსცადეს თავის თავზე. მსგავსი ინციდენტი სეულში, თუ არ ვცდებით, არ განმეორებულა, მაგრამ მსაჯები ყოველი შემთხვევისათვის სიფრთხილეს მაინც იჩენენ, განსაკუთრებით იმ სახეობებში, სადაც სამხრეთკორეელ სპორტსმენებს წარმატების რეალური შანსები აქვთ.

ძიუდოისტთა ტურნირის დაწყებას სეულში დიდი ინტერესით ელოდნენ, ამ ინტერესის გამოვლენა გახლდათ ისიც, რომ ბილეთები ყოველ კალენდარულ დღეზე კარგა ხნით ადრე გაიყიდა და დარბაზი მუდამ სავსეა მაყურებლებით.

კორეელი ძიუდოისტები, ისევე როგორც იაპონელები, მთავარ ფავორიტთა შორის ირიცხებიან, განსაკუთრებით დაბალ წონებში და აი, მოხდა ის, რისიც ჩვენს მწვრთნელებს ყველაზე მეტად ეშინოდათ. 60 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა ტურნირის პირველსავე წრეში საბჭოთა გუნდის წევრი ამირან ტოტიკაშვილი სამხრეთკორეელ კიმ ჩე ხებს შეხვდა.

ბრძოლა იყო უაღრესად მძაფრი და დაძაბული. ორივე მეტოქე თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ რამდენადმე შესამჩნევ უპირატესობას ვერც კორეელმა და ვერც საბჭოთა მოჭიდავემ ვერ მიაღწია. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მსაჯის პირად შეხედულებას და მოსაზრებას. კიმ ჩე ხების ერთ-ერთი შეტევა მსაჯებმა „კოკათი" შეაფასეს, რასაც თანაბარ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აღმოაჩნდა.

იყო დრო, როცა ძიუდოში ერთი წაგების შემდეგაც სპორტსმენს ოქროს მედალზე ფიქრი შეეძლო. სხვათა შორის, ასეთ არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდა 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიადაზე შოთა ჩოჩიშვილი, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ყველა მომდევნო შეხვედრა და ოქროს მედალი მოიპოვა. მაშინდელი წესები უფრო შემწყნარებელი იყო დამარცხებული სპორტსმენის მიმართ, ვინაიდან მას მდგომარეობის გამოსწორების ერთი შანსი კიდევ ეძლეოდა.

ახალი წესებით წაგებული ავტომატურად ჰკარგავს ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლებას. უკეთეს შემთხვევაში მას ბრინჯაოს ჯილდოზე შეუძლია ფიქრი და ამირან ტოტიკაშვილმაც პირველ წრეში დამარცხების შემდეგ მიზნად სწორედ მესამე ადგილზე გასვლა დაისახა. ეს გეგმა ქართველმა ძიუდოისტმა წარმატებით განახორციელა.

ოთხი შეხვედრა ერთ საათში ოლიმპიურ ტატამზე — წარმოუდგენლად ძნელი გამოცდაა. მაგრამ ტოტიკაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს გამოცდა უნაკლოდ ჩააბარა: ერთი შეხვედრა ქულებით მოიგო, სამი წმინდად და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის

იხ. მე-3 გვ.



ამირან ტოტიკაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

# დაწინაურდა მსოფლიოს ჩემპიონი

**როგორც** იცით მეორე პარტია მეორედ 90-ე სვლაზე ასეთ პოზიციაში გადაიდო.

**ჩიბურდანიძე**



**იოსელიანი**

ამ პარტიის განახლებისას მაია ჩიბურდანიძემ ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა.

90. ეe7+ (ჩაწერილი სვლა) მფg6 91. ეe8 ეf7 92. ე:e5 h3 93. ეe6+ მფg5 94. ეe8 მფg4 95. მფe3 h2 96. ეh8 მფg3 97. მფe2 ეg7 98. მფf1 ეg4.

თეთრები დანებდნენ.

ამრიგად, დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი — 1,5:0,5.

მესამე პარტია რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს.

**დავით ჭელიძე,**
ტელეფონით. „ლელოს" სპეც. კორ.

# 27 სექტემბერი ტურიზმის მსოფლიო დღეა



**ტურიზმის** საერთაშორისო კავშირის (აიტ) პირველი კონფერენციის (მანილა, 1988 წელი) დადგენილებით 27 სექტემბერს ყოველწლიურად აღინიშნება როგორც ტურიზმის მსოფლიო დღე.

ტურიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მ. გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საექსკურსიო საქმის საფუძვლების" მასწავლებელმა ბიქტორ სიჭინავამ მოგვაწოდა საინტერესო ცნობები, რომლებშიც ასახულია ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის დანერგვა-განვითარების ძირითადი ეტაპები.

ქვემოთ გთავაზობთ ამ ცნობებს.

⊙ ტურიზმი თავდაპირველად გაფორმდა სამთო ანუ ე. წ. ალპიური კლუბების სახით. ალპინიზმი თავიდან ძალზე მდორედ ვითარდებოდა. მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში იწყება სამთო მოგზაურობანი და ალპების მწვერვალების პირველი დაპყრობა. უძველესი ალპიური კლუბი დაარსებულია ლონდონში, 1857 წელს.

⊙ 60-იანი წლებიდან ალპიური კლუბები შეიქმნა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ კლუბებისა თუ საზოგადოებების ძირითად ამოცანას შეადგენდა სამთო დარგების, მთის ქანების,

იხ. მე-2 გვ.

მეგობრობის მერიდიანები

# სილამაზის სადარაჯოზე

**თბილისში** ერთ კვირას გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მეოთხე კონფერენცია. ამ შეხვედრებში ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი ის იყო, რომ ამერიკელებს მასპინძლობას უწევდნენ თბილისელთა ოჯახები. ერთმანეთის გაცნობისა და დაახლოების უკეთესი გზა ხომ ალბათ წარმოუდგენელია. ამერიკელები სემ სელემი და ბად მაქენერი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების სამმართველოს უფროსის ბორის აგრანატის ოჯახის სტუმრები იყვნენ. ურთიერთგაგებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ოჯახის დიასახლისი ანა კანტერი პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტია. ასე რომ, ამერიკელებთან სასაუბროდ თარჯიმნის ძებნა არ დაგვჭირვებია. თუ რა იყო ამერიკელებით ჩვენი გაზეთის საგანგებოდ დაინტერესების მიზეზი, მკითხველი თავად სტუმრების ნაამბობით მიხვდება.

**სემ სელემი:** ვარ მთავარი კონსულტანტი მანუფაქტურული ფირმების დირექტორთა საბჭოსი, რომელიც აწარმოებს ჩოგბურთის ბურთებს „ფენნს". ეს პენსილვანიის შტატის შემოკლებული სახელია. შეერთებულ შტატებში გამოშვებული ბურთების 50 პროცენტი ჩვენი ფირმის ნაწარმია. დასავლეთ ევროპის (კაპიტალისტური ქვეყნები) ჩოგბურთელთა 30 პროცენტი „ფენნით" თამაშობს. იგი საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში. პროფესიონალ ჩოგბურთელთა უმეტესობაც „ფენნით" თამაშს ამჯობინებს. ამას ჩვენი კონკურენტები — ამერიკული ფირმა „უილსონი" და ინგლისური „დანლოპიც" კი აღიარებენ. სამწუხაროდ, სოციალისტურ ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულება ჯერჯერობით არა გვაქვს.

⊙ **საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ეს საკითხი ხომ არ წამოჭრილა?**

— არა, ასეთი წინადადება არავის შემოუთავაზებია. ძალიან კი გაგვიხარდებოდა. ჩვენ ქვეყნებს მეტი სავაჭრო კონტაქტები უნდა ჰქონდეთ.

**ბად მაქენერი:** ყოფილი ბიზნესმენი ვარ. ვმუშაობდი ხის დამმუშავებელ კერძო საწარმოში. ვუშვებდით ჩოგბურთის მაგიდებს, კალათბურთის ფარებს და ბეისბოლის ხელთათმანებს. ჩვენი პროდუქცია ისე სახელგანთქმული არ არის როგორც „ფენნი", მაგრამ ამერიკაში იგი საკმაო მოწონებით სარგებლობს.

⊙ **ჩვენი გაზეთი ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებს აშუქებს და, ცხადია, გვაინტერესებს, ამერიკელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში რა ადგილი უკავია ფიზკულტურასა და სპორტს.**

**სემ სელემი:** — ამერიკელები სიცოცხლის მოყვარული და პრაქტიკული ხალხია. ისინი ჯანმრთელობაზე ზრუნვას ძალზე სერიოზულ საკითხად თვლიან. ამით იმის თქმა მინდა, რომ პრაქტიკულად ყველა ამერიკელი ვარჯიშობს. უმეტესობა — საღამოს, ისე არც დილით აკლია სარბენ ბილიკებს ხალხი. სავარჯიშო ადგილები საკმაოდ გვაქვს.



ბად მაქენერი (მარცხნიდან), ანა კანტერი, სემ სელემი და ბორის აგრანატი.

ჯ. კასრაძის ფოტო.

იხ. მე-2 გვ.

# საქმეს კარგი პირი უჩანს

ათი წლის წინათ თბილისში გაიხსნა დ. ჯაბიძის სახელობის 110-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტული ბაზა 25-მეტრიანი საცურაო აუზით, თავისი გასახდელებით, საშხაპეებით და სხვა სათავსოებით, იქით — სპორტდარბაზი (12X24 .მ), ცოტა მოშორებით — კორტები, ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, ...ბურთის მოედნები... ერთი სი... 6700 კვადრატულ მეტრ... ...ტაბლი სპორტული ქალაქი იყო ...ული და ასეთი ბაზებით (დასა...თი სასწავლებელი თავს ვერ ...წონებდა. რაღა თქმა უნდა, ...ველა სისხლსავსე სპორტულ ...ებას ელოდა, მაგრამ...

...შარშან გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" ერთი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა. სამწუხაროდ, ის კრიტიკა ჩვენს მიერ მოწონებულ სასწავლებლის სპორტულ ბაზებს ეხებოდა. წერდნენ, ბაზები უმოქმედოდაა და ვერანდებაო.

— „სოვეტსკი სპორტის" კრიტიკა სამართლიანი იყო, — გვითხრა მაშინ ამ სასწავლებლის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ ტატიშვილმა. — თუმცა, ეტყობა, გაზეთმა ცოტა დაგვინდო კიდეც...

ამ სასწავლებელს (დირექტორი კობა ახალაძე) ამას წინათ კიდევ ერთხელ ვეწვიეთ. ჩვენც ისეთივე სურათი დაგვხვდა, როგორც შარშან „სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტს: გასახდელები და საშხაპეები — აყრილი, კაფელი ჩამსხვრეული, გაძარცული კარ-ფანჯრები, მოედნებზე — ბალახი და გუბეები, ტრიბუნებზე — დამტვრეული მერხები...

— სამწუხაროდ, ჩვენს სპორტულ ბაზებს ვერ ვიყენებთ, — თქვა თ. ტატიშვილმა. — აუზში წყალი არ თბება, თბილი წყალი არც საშხაპეებშია, მოსწავლეს კი დღეს ვერ ეტყვი — ვარჯიშის მერე ცივი შხაპით დაკმაყოფილდიო. მით უმეტეს ზამთარში ან ავდარში. ყველაფერ ამას ვიღა ჩივის, როცა სასწავლებელში საცხოვრებელი ოთახებიც კი არ თბება. ყოველივე ამის გამო მოსწავლეებს სპორტულ სექციებში მეცადინეობა კი არა, ჩვენთან სწავლაც აღარ უნდათ.

თავის დროზე, როცა ეს სპორტული ბაზები და საერთოდ სასწავლებელი შენდებოდა, თავიანთი საბაზო ორგანიზაციის — ტრესტ „კავკასელექტრომშენის" ლითონკონსტრუქციების ქარხნის — დიდი იმედი ჰქონდათ. იქვე, სასწავლებლის გვერდით იყო ქარხანა და ცხელი წყალიც მას უნდა მიეწოდებინა, ამიტომ სასწავლებელში პროექტით გათვალისწინებული საქვაბეები ზედმეტად ჩათვალეს, მაგრამ ქარხანამ პირობა ვერ შეასრულა, თუმცა, სასწავლებელი მას სამისოდ წელიწადში სისტემატურად 35,842 მანეთსა და 50 კაპიკს უხდიდა.

ახლა უკვე 2 წელია, რაც ეს ქარხანა ტრესტ „კავკასელექტრომშენიდან" გავიდა და სასწავლებლის საბაზო ორგანიზაციის ფუნქციაც დაკარგა. ჰოდა, სასწავლებელი ცაში გამოკიდებული დარჩა.

— ჩვენთან სწავლისთვის, შრომისთვისა და სპორტისთვისაც აუცილებელი იყო საკუთარი საქვაბე და ფული, მაგრამ არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

ფინანსური დახმარების გაწევა არც პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტს შეეძლო, არც მიკრორაიონების ქარხნების წილობრივი შემოსვლა მოხერხდა. ერთი სიტყვით, საქმე ჩიხში მოექცა. ერთადერთი გამოსავალი კოოპერატივში ჩანდა.

როცა თამაზ ტატიშვილმა კოოპერატივის ჩამოყალიბება განიზრახა, ამ საქმის თითქმის არავის სჯეროდა, ოპტიმისტი ხუთიოდე კაცი გამოჩნდა და საქმე დაიწყო. ტატიშვილმა და კიდევ რამდენიმე კაცმა ლამის მთელი თბილისის სარდაფები დაიარეს — გამოუყენებელ საქვაბეს ეძებდნენ. ბოლოს მიაგნეს კიდეც. მერე თავიანთი სასწავლებლის სარდაფი მოასუფთავეს და საქვაბეს დამონტაჟება დაიწყეს.

კიდევ ბევრ საქმეს შეეჭიდნენ. საქმეში გართულებებს შვებულებები გადაავიწყდათ. თუმცა, კოოპერატივი დამტკიცებული ჯერ არც იყო. მათ ამ საქმეშიც უამრავი წინააღმდეგობა შეხვდათ და, ბოლოს, თავიანთი მცდელობით მიზანს მიაღწიეს — კოოპერატივის ჩამოყალიბება დაამტკიცეს.





კოოპერატივს, რომელსაც „ჯანმრთელობა" უწოდეს, განზრახული აქვს საქვაბის ამოქმედება. იგი ცხელი წყლით მოამარაგებს საცურაო აუზსაც და მთელი სასწავლებლის სპორტული ბაზების საშხაპეებსაც და, რაც მთავარია, თავად სასწავლებლის გათბობის პრობლემასაც გადაწყვეტს. კოოპერატივს განზრახული აქვს საცურაო აუზის კეთილმოწყობა და მისი გადახურვაც. მოაწყობენ სპორტდარბაზსაც და მოედნებსაც. კოოპერატივი „ჯანმრთელობა" მოსახლეობას მოემსახურება ცურვაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში, ჩოგბურთში სავარჯიშოდ, იმუშავებს აერობიკის ჯგუფი, იქნება საუნა, ხოლო სპორტდარბაზი მრავალგვარი ტრენაჟორებით აღიჭურვება. კოოპერატივის მოგება მთლიანად მოხმარდება სასწავლებლის კეთილმოწყობას.

თამაზ ტატიშვილი ფიქრობს, რომ ყოველივე ეს დიდად შეუწყობს ხელს სასწავლებლის კონტინგენტის მოზიდვას. კოოპერატივი დიდ სამსახურს გაუწევს ნორჩ თაობას, მოსახლეობას.

საინტერესოა, რომ გლდანის რაიონში საერთოდ არაა გადახურული საცურაო აუზი, ხოლო მიკრორაიონში — სპორტული კომპლექსი. ამდენად ამ სასწავლებლის სპორტულ ბაზას კარგი პერსპექტივა ეშლება.

როგორც ტატიშვილი ვარაუდობს, ამ სპორტული ბაზების კეთილმოწყობის შედეგად შესაძლებელი გახდება მისი სპორტულ სასწავლებლად გადაკეთებაც.

მანამდე კი „ჯანმრთელობას" მართლაც და ზღვა სამუშაო ელის, მაგრამ კოოპერატივის თავმჯდომარე და მისი წევრები, როგორც ვნახეთ, იმთავითვე ოპტიმისტურად განწყობილნი იყვნენ და არიან კიდეც.

აქვე ვიტყვით — სასწავლებელი ამზადებს მშენებლებს, მღებავებს, მ...ქეთუბლებს, მლესავებს, ...მ...ებლებს, ავტოამწე მემანქანეებს... როგორც ტატიშვილი ამბობს, სასწავლებლის აღსაზრდელები თავიანთ საწარმოო პრაქტიკას მიიღებენ სპორტული ბაზების კეთილმოწყობისას, რეკონსტრუქციისას თუ მშენებლობისას და გასამრჯელოს მათ კოოპერატივი გადაუხდით.

ერთი სიტყვით, საქმეს კარგი პირი უჩანს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

**ავტორის ფოტოები.**

P. S. ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა თამაზ ტატიშვილმა გვაცნობა, პროფტექნიკურ სასწავლებელსა და კოოპერატივს ტრესტ „კავკასელექტრომშენის" მმართველმა გრიგოლ სარალიძემ, როგორც საბაზო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, დიდი დახმარება აღუთქვა და ამ საქმეში პირველი ნაბიჯებიც გადადგა.

**სურათებზე: დღეს ასე გამოიყურება 110-ე პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტული ბაზა, მომავალში კი კოოპერატივ „ჯანმრთელობის" წყალობით, იმედია, უკეთეს სურათს ვიხილავთ.**

---

**წყალბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა**

# თბილისელები ფინალში

მას შემდეგ, რაც თბილისში მიმდინარე უმაღლესი ლიგის წყალბურთელ ქალთა გუნდების IV საკავშირო პირველობაში მასპინძელთა „ივერიამ" უძლიერეს ოთხეულში დაიმკვიდრა ადგილი, ნათელი გახდა, რომ იგი შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას შეეცდებოდა.

შეგახსენებთ, რომ შარშან თბილისელებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს. მანამდე კი მესამე პრიზიორები იყვნენ, ხოლო პირველ პირველობაში მათ სატურნირო ცხრილის უკანასკნელი გრაფა შეავსეს (ყველა ამ პირველობებში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების გუნდები მონაწილეობდნენ).

ახლა თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის აუზში მასპინძლებმა უძლიერეს ოთხეულში გამართულ პირველ მატჩში, როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვის სკიფ-ს აჯობეს.

კვირას „ივერიას" მეტოქე გორკის „სალუტი" იყო. ამ გუნდების შეხვედრამ პირველ პერიოდში თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და იგი 3:3 დამთავრდა. შემდეგ მასპინძლებმა. მომდევნო ორი პერიოდი თითო ბურთის სხვაობით (3:2, 3:2) მოიგეს. მეოთხე პერიოდი ორიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა „სალუტის" ერთ-ერთი მოთამაშე თამაშის ბოლომდე შეცვლის უუფლებოდ გააძევეს. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ „ივერია" რიცხობრივ უპირატესობას არაერთხელ გამოიყენებდა, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში მეტოქეებმა ყველაზე ნაკლები, თითო ბურთი გაიტანეს, საბოლოოდ მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 10:8.

კვირას უძლიერეს ოთხეულში მოასპარეზეთა მეორე წყვილის შეხვედრაში „უნივერსიტეტმა" (მოსკოვი) მოუგო სკიფ-ს (მოსკოვი) 7:3.

რაც შეეხება მეორე ოთხეულის კვირის შეხვედრებს, ისინი ასე დამთავრდა: „სტრელა" (ზაპოროჟიე) — ხპი (ხარკოვი) 6:5, „ურალოჩკა" (ზლატოუსტი) — „მედეო" (ალმა-ათა) 10:1.

ახლა ამ გუნდებს ასეთი სატურნირო მდგომარეობა აქვთ: „ურალოჩკა" — 4 ქულა, ხპი, „სტრელა" — 2-2, „მედეო" — 0.

ძლიერ ოთხეულში მოასპარეზეთაგან „ივერიას" ყველაზე მეტი — 4 ქულა დაუგროვდა. „უნივერსიტეტსა" და „სალუტს" 2-2 ქულა აქვთ, ხოლო სკიფ-ს — 0.

როგორც ხედავთ, კვირის შეხვედრების შემდეგ „ივერიას" ფინალში გასასვლელად ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა მიეცა. „უნივერსიტეტთან" გუშინდელ მატჩში მასპინძლებს ფრეც ხელს აძლევდათ.

**გუშინ „სალუტმა" დაამარცხა სკიფ-ი — 8:7. ამის შემდეგ ისეთი სატურნირო მდგომარეობა შეიქმნა, რომ „ივერია" უნივერსიტეტთან დამარცხების შემთხვევაშიც ფინალში გადიოდა. ამ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 4:4. დღეს ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.**

---

## 27 სექტემბერი ტურიზმის მსოფლიო დღეა

(დასასრული)

განსაკუთრებით კი, ტოპოგრაფიის შესწავლა, შედარებით ზუსტი რუკების შექმნა, სპეციალური კადრების მომზადება, მთაში სადგომების მაშველი ბაზების, საგუშაგოების მოწყობა...

⊙ რუსეთში პირველი ტურისტული ორგანიზაცია 1877 წელს დაარსდა.

ეს იყო კავკასიის საბუნებისმეტყველო საზოგადოების ალპიური კლუბი თბილისში.

⊙ 1895 წელს იქმნება ტურისტთა რუსეთის საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს ტურიზმის გავრცელებას ყველა სახეობის მიხედვით, ამასთან, გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის,* საბუნებისმეტყველო და სხვა დარგების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის სამუშაოების ჩატარებას.

⊙ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი და საექსკურსიო საქმიანობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გახდა.

⊙ რსფსრ-ს განათლების სახალხო კომისარიატის მთავარპოლიტგანათლება. მას 1920 წლიდან 1930 წლის ჩათვლით სათავეში ედგა ნ. კ. კრუპსკაია, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმებთან ერთად საექსკურსიო საქმიანობასაც უძღვებოდა.

⊙ 1928 წელს დაარსდა სააქციონერო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი", რომლის პრაქტიკულ მუშაობას განსაზღვრავდა ზაფხულის პერიოდში საექსკურსიო ბაზების (საექსკურსიო ბაზები იმ დროს დღევანდელი ტურბაზებისა და საექსკურსიო ბიუროების მუშაობას უთავსებდა ერთმანეთს) მოწყობა სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ჯგუფების (გეგმით გათვალისწინებული) მომსახურების მიზნით.

⊙ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 8 მარტის დადგენილებით გაერთიანდნენ სააქციონერო საზოგადოება „საბჭოთა ტურისტი" და „პროლეტარული ტურიზმის საზოგადოება", რომლის ბაზაზე პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოება შეიქმნა.

⊙ ომისშემდგომ წლებში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ სამჯერ (1969, 1980 და 1985 წლებში) მიიღეს დადგენილება ჩვენს ქვეყანაში ტურიზმისა და ექსკურსიების შემდგომი განვითარების შესახებ.

⊙ 1970 წელს პროფკავშირთა ტურისტულ-საექსკურსიო ორგანიზაციები 9,3 მილიონ ტურისტსა და 35,6 მილიონ ექსკურსანტს მოემსახურა, 1985 წელს ტურისტთა რიცხვი 37,5 მილიონამდე გაიზარდა, ხოლო ექსკურსანტთა რაოდენობა — 204 მილიონამდე.

⊙ მოსახლეობის ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების საერთო მონაცემებით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს მესამე ადგილი უჭირავს რსფსრ-სა და უკრაინის შემდეგ.

⊙ რესპუბლიკის ტერიტორიას დაახლოებით ასამდე ტურისტული მარშრუტი კვეთს (აქედან 60-ზე მეტი საკავშიროა).

---

# სილამაზის სალათა

(დასასრული)

ზამთარში სპორტულ დარბაზებს ვაკითხავთ. ვარჯიშის ინტენსივობას პირადი ექიმი გვირჩევს. საერთოდ, ჩვენში ყველა ინტელიგენტი წელიწადში ერთხელ მაინც აკითხავს ექიმს.

**⊙ ოჯახის წევრები ერთად ვარჯიშობენ თუ ცალ-ცალკე?**

— ასაკის მიხედვით. თუმცა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიც თხილამურებით სრიალი და ჩოგბურთია, ოჯახი არ იყოფა. ორგანიზებული ფიზკულტურა ჩვენში სკოლიდან იწყება. გაკვეთილებს ყოველდღე თითო საათი ეთმობა. ის, ვინც სპორტის სხვადასხვა სექციაში დადის, სამ-ოთხ საათს მეცადინეობს.

**⊙ ამერიკელები ძირითადად სპორტის რომელ სახეობებს ეტანებიან?**

— ბეისბოლს, კალათბურთს, ამერიკულ ფეხბურთს. ჩვენთვის სამივე სახეობა ერნაირად ძვირფასია.

**⊙ ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი ზიანი მოაქვს თამბაქოს. მის წინააღმდეგ საბრძოლველად ამერიკელებმა ბოლო წლებში მართლაც დიდი კამპანია გააჩაღეთ. ამაზე ნათლად მეტყველებს სეულის ოლიმპიადებში ჩართული თამბაქოს საწინააღმდეგო აგიტაცია.**

— ეს კამპანია უფრო ადრე, ოცდახუთი წლის წინ დაიწყო. თამბაქო ამერიკაში ერთადერთი სავაჭრო საქონელია, რომლის რეკლამა აკრძალულია. არ ვიცი, თქვენთან რამდენი კაცი ეწევა თამბაქოს. ამერიკაში მწეველ მამაკაცთა რიცხვი 30 პროცენტილაა. რაც შეეხება ქალებს, ოცდახუთი წლის წინ ისინი საზოგადოებაში ვერ გაბედავდნენ მოწევას. ეს დღესაც ცუდ ტონად ითვლება. ჩვენს თვითმფრინავებში, რომლებიც ორი საათის მანძილზე მიფრინავენ, მოწევა აკრძალულია. საერთოდ არ ეწევიან საქმიან შეხვედრებზე. ამერიკელებს მტკიცედ სჯერათ, რომ თამბაქოს შეუძლია გამოიწვიოს ბევრი ავადმყოფობა, მათ შორის — კიბოც. ამერიკაში თამბაქო ნარკოტიკად ითვლება.

**⊙ ამერიკელებს არ „გაწუხებთ" ის, რომ იაპონელებმა სიცოცხლის ხანგრძლივობით გაგისწრეს? ამ ქვეყანაში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 77 წელს მიაღწია, ხოლო ქალებისა ორი წლით მეტია.**

— იაპონელთა ამ ფენომენს ჩვენ და თქვენც — ყველანი სიხარულით უნდა ვხვდებოდეთ. საჭირთა ერთად განვაზოგადოთ ის საშუალებები, რომელთა წყალობითაც მათ ამ შედეგს მიაღწიეს. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ყოველ ათ წელიწადში პრესაში აქვეყნებენ გარდაცვლილ ადამიანთა რაოდენობას და აღინიშნება რა მიზეზით გარდაიცვალა. ეს ხელს გვიწყობს ავადმყოფობასთან ბრძოლის საშუალებათა განზოგადოებაში. თუ სხვა ქვეყნებიც შემოგვიერთდებიან, სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის ბრძოლა უფრო ეფექტური იქნება. რაც შეეხებათ იაპონელებს, მათ ხორცი და ცხიმი თითქმის უარყვეს და სამაგიეროდ უმ თევზს მიირთმევენ. ჩვენთან ხორცის რაციონი საგრძნობლად შეიზღუდა. საშუალოდ კვირაში სამჯერ ვიღებთ მცირე ულუფებით სადილად, ისიც ნახევრად შემწვარს, ამის გამო საგრძნობლად დაიკლო ხორცის ფასმა, სამაგიეროდ გაძვირდა თევზი, რადგან მისი მოხმარება გაიზარდა. არადა, ადრე ამერიკელები თევზს ნაკლებად ეტანებოდნენ.

საუბარში ანა კანტერი ჩაერია.

— სემმა და ბადმა ჩამოგვიტანეს რეცეპტი ამერიკაში ძალზე პოპულარული კერძისა, რომელსაც „სილამაზის სალათა" ჰქვია. შვრიის ღერღილს უნდა დავუმატოთ რძე, თაფლი და გახეხილი სტაფილო ან გახეხილი ხილი. ასე რომ, ჩვენი ოჯახი ამ ერთი კვირის განმავლობაში სტუმრებთან ერთად „ამერიკულად" იკვებებოდა.

**⊙ რა მოგეწონათ და რა არა თბილისში?**

**ბად მაქენერი:** თუ მარტო სპორტული „განხრით" გაინტერესებთ, ბორისმა გვაჩვენა თქვენი მძლეოსნობის მანეჟი და „ბურევესტნიკის" კომპლექსი. ვფიქრობ, ეს ბაზები თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებს. რაც შეეხება არასპორტულს, სტუმრის ქათინაურში არ ჩამომართვათ, აღფრთოვანებული დავრჩით თბილისით და ქართველებით. გულღია, მხიარული ხალხი ყოფილხართ. კიდევ ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება: თქვენი მძღოლები ძალიან სწრაფად დადიან და ნამდვილი ვირტუოზები არიან.

**ჯემალ კასრაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**25 სექტემბერს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 24-ე ტურის შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მოსკოვის „ლოკომოტივი" მიიღეს. რამდენიმე სიტყვა ჩვენი მეტოქის შესახებ: ეს გუნდი საკავშირო ფეხბურთის ერთ-ერთი უძველესი წარმომადგენელია, კერძოდ, იგი სსრ კავშირის პირველ საკავშირო ჩემპიონატში გამოდიოდა 1936 წლის გაზაფხულზე, მაგრამ შემდგომში საქმეები ისე წავიდა, რომ „ლოკომოტივი" წლების მანძილზე არ გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში, ბოლო 7 სეზონია ლოკომოტიველებს ჩემპიონატში არ უთამაშიათ თბილისის დინამოელებთან. ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთლიანად შეიცვალა ორივე გუნდის შემადგენლობა, ლოკომოტიველთათვის, რა თქმა უნდა, თბილისის „დინამო" ახალი მეტოქეა, ამ განახლებული გუნდების პირველი ნაცნობობა წლევანდელი ჩემპიონატის 24 მარტს შედგა მოსკოვში, მაშინ რკინიგზელებმა გაიმარჯვეს (2:1).

გუშინწინდელი მატჩისთვის „ლოკომოტივი" პირველ ხუთეულში მოხვედრის შანსებს ინარჩუნებდა, თბილისის „დინამო" კი, ახლა უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, სახიფათო ზონას დასცილდა და თანდათან სულ უფრო მაღლა მიიწევს გათამაშების ცხრილში, ეს ვითარება განაპირობებდა როგორც მატჩზე დამსწრე აუდიტორიის, ისე თვით მატჩში მონაწილე გუნდების ფეხბურთელთა განწყობას — მათ საშუალება ჰქონდათ ეთამაშათ შეუბორკავად, ზედმეტი ნერვიული სტრესების გარეშე, სრულად გამოევლინათ თავიანთი შესაძლებლობანი.

ეს ასეც მოხდა, თამაში ფრიად დაძაბული და საინტერესო გამოდგა, მაგრამ, უნდა ითქვას, ორივე გუნდმა გაცილებით უფრო მეტი იბრძოლა, მეტი ფიზიკური ენერგია დახარჯა, ვიდრე თამაშის კლასი გამოავლინა. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში როგორც მასპინძლების, ისე სტუმრების დაცვითი ხაზები მჭიდროდ იყვანდნენ მეტოქე თავდამსხმელებს და იშვიათად თუ აძლევდნენ საჯარიმო მოედანზე შეჭრის საშუალებას. შუა მინდორში გაჩაღებული ბრძოლა კი ასეთ შემთხვევებში ნაკლები სახიფათო მომენტებით აღინიშნება. მართალი, იყო შემთხვევები, როცა ჯერ გორკოვმა, შემდეგ ფანცულაიამ და კვლავ გორკოვმა შეძლეს მეკარეებამდე „მიეღწიათ", მაგრამ ეს მხოლოდ ეპიზოდები იყო, თამაში ძირითადად ორ საჯარიმო მოედანს შორის, ცენტრალურ ზონაში მიმდინარეობდა, მხოლოდ პირველი ნახევრის დასასრულს ჩაებნენ თამაში მეკარეები გაბელია და ჩერჩესოვი.

თამაშის ტემპი საკმაოდ მაღალი, სწრაფი იყო, მოსკოველები უფრო ზუსტად, სწრაფად აწვდიდნენ ერთმანეთს ბურთს და კომბინაციური თამაშისკენ ლტოლვას



ავლენდნენ, რასაც დინამოელებმა შუა ხაზის მოთამაშეთა დიდი აქტიურობა დაუპირისპირეს. შესვენების შემდეგ თამაში კვლავ იმავე სიუჟეტით მიმდინარეობდა, მაგრამ ამას დაემატა მკვეთრი, ხშირად საკმაოდ უხეში „აქციები" და მსაჯს ხშირად უხდებოდა მატჩის შეჩერება. ამაში უფრო ლოკომოტიველები გამოირჩეოდნენ, ორი გაფრთხილებაც სწორედ მათ დაიმსახურეს.

ცალკეულ მოთამაშეთა ამ შეტაკებებმა და მკვეთრმა თამაშმა ბოლოს სისტემატური ფორმები მიიღო, ბრძოლის ამგვარი მსვლელობა, ეტყობა, ლოკომოტიველებს უფრო ხელს აძლევდა, რომლებიც დროის აშკარა გაჭიანურებასაც არ ერიდებოდნენ, ფრე მათი გეგმის მთავარი პუნქტი იყო და დინამოელთა უპირატესობამ, რომელსაც მათ მატჩის დასასრულს მიაღწიეს, შედეგი ვერ გამოხლო, თუმცა ბოლო წუთებზე ჩერჩესოვის კარის ბედი რამდენიმეჯერ ბეწვზე ეკიდა.

ასეა თუ ისე, ამ მატჩის შედეგით მოსკოვის „ლოკომოტივი" უფრო კმაყოფილი უნდა იყოს, ვიდრე თბილისის „დინამო", მაგრამ ის ქულაც, რომელიც ჩვენმა გუნდმა ჩაიწერა აქტივში, ფრიად სასარგებლოა სადღეისოდ შექმნილი ვითარებისთვის. თბილისის „დინამო" უკვე მჭიდროდ მიუახლოვდა პირველ ათეულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდის შემადგენლობა სტაბილური გახდა, ცალკეულ რგოლებსა თუ მოთამაშეებს შორის მოწესრიგდა ურთიერთგაგება და კომბინაციური მოქმედებანი. ალბათ დინამოელები მონაპოვარს აღარ დათმობენ და იბრძოლებენ უკვე არა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისა, არამედ პირველ ათეულში მოხვედრისთვის.

3 ოქტომბერს თბილისის „დინამო" სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში უმასპინძლებს ლვოვის „კარპატის" (პირველი მატჩი ლვოვში ფრედ დამთავრდა — 0:0), შემდეგ მას მცირე შესვენება აქვს, 11 ოქტომბერს კი ჩემპიონატის მატჩს გამართავს მინსკში ადგილობრივ თანაკლუბელებთან.

გთავაზობთ მატჩის სტატისტიკურ მონაცემებს:

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 25 სექტემბერი.**

**„დინამო": გაბელია, თეთრაძე (გურული, 60), ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, ხვანაძე, ცვეიბა, ცაავა, ფანცულაია, გოგიჩაიშვილი.**

**„ლოკომოტივი": ჩერჩესოვი, მილეშკინი, სოლოვცოვი, ბაზულევი, კალაიჩევი, გორკოვი, ატაულინი, გალაკბეროვი, ილიალოვი, რუსიაევი (აბრამზონი, 89), დოზმოროვი.**

**მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).**

**გააფრთხილეს მილეშკინი, რუსიაევი.**

ტურის სხვა შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის დამთავრდა ასეთი შედეგებით: „შახტიორი" (დონეცკი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 2:0, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) 2:1, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 2:0, „სპარტაკი" (მოსკოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:1, „არარატი" (ერევანი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0, „ნეფთჩი" (ბაქო) - „დინამო" (მინსკი) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი ⊙ მდგომარეობა 27 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 24 | 13 | 10 | 1 | 37-17 | 36 |
| 2. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 24 | 12 | 9 | 3 | 35-20 | 33 |
| 3. „დინამო" (კიევი) | 23 | 12 | 8 | 3 | 33-14 | 32 |
| 4. „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 12 | 6 | 5 | 29-20 | 30 |
| 5. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 23 | 9 | 7 | 7 | 29-25 | 25 |
| 6. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 24 | 9 | 7 | 8 | 31-30 | 25 |
| 7. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 22 | 8 | 8 | 6 | 27-22 | 24 |
| 8. „არარატი" (ერევანი) | 23 | 8 | 7 | 8 | 17-21 | 23 |
| 9. „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 24 | 9 | 4 | 11 | 20-28 | 22 |
| 10. „შახტიორი" (დონეცკი) | 23 | 7 | 8 | 8 | 23-22 | 22 |
| 11. „დინამო" (თბილისი) | 24 | 8 | 4 | 12 | 25-31 | 20 |
| 12. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 24 | 6 | 8 | 10 | 23-30 | 20 |
| 13. „დინამო" (მინსკი) | 23 | 5 | 9 | 9 | 21-25 | 19 |
| 14. „დინამო" (მოსკოვი) | 21 | 5 | 6 | 10 | 19-26 | 16 |
| 15. „ნეფთჩი" (ბაქო) | 23 | 5 | 4 | 14 | 22-36 | 14 |
| 16. „კაირატი" (ალმა-ათა) | 24 | 4 | 3 | 17 | 17-41 | 11 |

### საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXIX ტურის შეხვედრები: „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:1, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „ივერია" (ხაშური) 2:0, „არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 0:0, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:0, „მერანი" (ოჩამჩირე) „დინამო" (ზუგდიდი) 2:1, „ეგრისი" (ცხაკაია) — „სქური" (წალენჯიხა) 1:2, „შადრევანი" (წყალტუბო) — „სულორი" (ვანი) 0:0, „დინამო" (გაგრა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2, „კოლხეთი" (ხობი) — „მადნეული" (ბოლნისი) 2:1.

### თბილისის ჩემპიონატი მინიფეხბურთში

24 და 25 სექტემბერს „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში გაიმართა ქალაქის ჩემპიონატი მინიფეხბურთში უბნებს შორის: „პლეხანოვი" — „ვაკე" 3:4, „ისანი" — „ვეტერანი" 5:4, „საბურთალო"-1 — „ნაძალადევი" 4:5, „ვერა"-1 — „საბურთალო"-3 5:2, „ვერა"-2 — „მუხიანი" 3:6, „დიდუბე" — „საბურთალო"-2 2:2, „გლდანი" — „ორხევი" 3:4, „ქუსტბა" — „სანზონა" 2:2, „თემქა" — ვაჟა ფშაველას გამზირი 2:6.

მეოთხედფინალში გავიდნენ: „მუხიანი", „ორხევი", „ვერა"-1, „საბურთალო"-1, „ვაკე", „საბურთალო"-3, „საბურთალო"-2, „ოქროსუბანი", „მთაწმინდა", „დიღომი", „ისანი" და ვაჟა ფშაველას გამზირი.

### „ფრანს ფუტბოლის" აზრით

ცნობილმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" მრავალრიცხოვანი ექსპერტების გამოკითხვის შედეგად შეადგინა მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელების სია 1988 წლის შეჯიბრებების მიხედვით.

მეკარეები — დასაევი (სსრ კავშირი), ვან ბრეკელენი (ჰოლანდია), ბონერი (ირლანდია), ფერნანდესი (პარაგვაი), როხასი (ჩილი), ბელი (კამერუნი), რუფაი (ნიგერია).

განაპირა მცველები — ჟაკე (პარაგვაი), ტიიანი (მაროკო), ნელსინიო (ბრაზილია), რაცი (სსრ კავშირი), მალდინი (იტალია).

ცენტრალური მცველები — კუმანი (ჰოლანდია), ბარეზი (იტალია), ასტენგო (ჩილი), რუჯიერი (არგენტინა), კუნდე (კამერუნი).

დაცვის დამხმარე ნახევარმცველები — პიზარო (ჩილი), იუზეფ იიმაილი (ეგვიპტე), მათეუსი (გფრ), ვოუტერსი (ჰოლანდია).

შემტევი ნახევარმცველები — ზავაროვი (სსრ კავშირი), დონადონი (იტალია), ნვოზუ (ნიგერია), მაკანაკუ (კამერუნი).

თავდამსხმელები — მიულერი (ბრაზილია), ბასაი, რედინი (ორივე — ჩილი), მედანა (ალჟირი), ვიალი (იტალია), პროტასოვი (სსრ კავშირი), ფრანჩესკოლი, ალსამენდი (ორივე — ურუგვაი), კლინსმანი (გფრ).

### ჰეპატიტით დაავადდა

როგორც „ბარსელონას" ხელმძღვანელობა იუწყება, ამ გუნდის წევრი, ინგლისის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ლინეკერი ჰეპატიტით დაავადდა და რამდენიმე თვის მანძილზე არ ითამაშებს.



## XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## ნაბიჯი ოლიმპიურ კვარცხლბეკზე

(დასასრული)

უფლება მოიპოვა. მისი მეტოქე ამ ბოლო ბრძოლაში ევროპის მარშანდელი ჩემპიონი ფრანგი პატრიკ რუ იყო.

ისინი ერთმანეთს კარგა ხანია იცნობენ. უჭიდავიათ კიდეც სხვადასხვა რანგის ტურნირებში. ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ფინალში ტოტიკაშვილს ოქროს მედალი სწორედ პატრიკ რუსთან გამარჯვებამ მოუტანა. მათი გუშინწინდელი ბრძოლა ევროპის ჩემპიონატის ფინალს ჰგავდა და ამჯერადაც ქართველი მოჭიდავის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა (თითო „იუკო" და „კოკა").

მთავარი ფინალი კი... უფრო უინტერესო და უფერული იყო. გამარჯვება ერთადერთი „კოკათი" სამხრეთკორეელ ათლეტს დარჩა და ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალიც მას გადაეცა, მეორე ადგილზე კი კევინ ასანო (აშშ) ავიდა.

ამირან ტოტიკაშვილი მარტყოფელია. ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი (19 წელი) საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობს. დიდ სპორტში წლეულს პირველად გამოჩნდა და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. აქამდე ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ჩემპიონი იყო, სეულში კი ოლიმპიადის პრიზიორიც გახდა. ტოტიკაშვილს მომავალი წინა აქვს და დარწმუნებული ვართ, თავს კიდევ არაერთგზის გაგვახსენებს.

**ტექნიკური შედეგები: 60 კგ.** 1. კიმ ჩე ხები (სამხრეთ კორეა), 2. კევინ ასანო (აშშ), 3. ამირან ტოტიკაშვილი (სსრ კავშირი) და სინიძი ხოსოკავა (იაპონია).

## ორი ინტერვიუ

**ოლიმპიური** სოფლის სასადილოში მუდამ ხალხმრავლობაა, რითაც ყველაზე მეტად ჟურნალისტები სარგებლობენ: ინტერვიუ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სპორტსმენს შეიძლება ჩამოართვა.

ასეთი იმპროვიზებული საუბარი შედგა კონგოელ სპორტსმენებთან. ერთი მათგანი სიმაღლეზე მხტომელი გუსტავ ბუკაკა იყო, მეორე — მძლეოსანთა ექიმი როლან რიზე.

— ჩვენს ქვეყანაში მადლიერების გრძნობით იგონებენ საბჭოთა სპორტსმენს რობერტ შავლაყაძეს. მისი წყალობით კონგოში დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო სიმაღლეზე ხტომა, არამედ სპრინტი და მძლეოსნობის სხვა სახეობები. ოთხი წელი მუშაობდა კონგოში საბჭოთა სპეციალისტი და მის შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჩვენი ქვეყნის მძლეოსნებმა აფრიკის თამაშებში ბევრი მედალი მოიპოვეს, რაც რობერტ შავლაყაძის დამსახურებაა. გთხოვთ მოკითხვა გადასცეთ ჩვენს ძვირფას მეგობარსა და მასწავლებელს.

საბჭოთა კავშირის მსროლელთა ნაკრებში ქალთა გუნდის მომზადებაზე გაპიროვნებული იყო იური სიმონიანი. იგი სპორტსმენთა გამოსვლებით, ცხადია, კმაყოფილია.

— ოლიმპიური ტურნირი ჩვენთვის უკვე დამთავრდა. მოვიპოვეთ 10 მედალი, მათ შორის სამი ოქროსი. მსროლელთა გუნდის წარმატებაში განუზომლად დიდი წვლილი შეიტანა ნინო სალუქვაძემ. იგი მშვენიერი გოგონაა და დიდებული სპორტსმენი, რომელსაც მომავალი წინა აქვს.

## ოლიმპიადის დღიური

⊙ **გასულ** კვირას ოლიმპიადაზე მედლების 26 კომპლექტი გათამაშდა. საბჭოთა სპორტსმენებმა 5 უმაღლესი ჯილდო მოიგეს, გდრ-ის წარმომადგენლებმა კი — 6. კვირის შეჯიბრებების ჩათვლით საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციას მიღებული აქვს 68 მედალი (მათ შორის 30 ოქროსი), გდრ-ს — 62 (25), აშშ-ს — 38 (12).

**კრივი.** შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთების გასაღება მაყურებელთა ინტერესის თავისებურ ბარომეტრს წარმოადგენს. ამ მხრივ XXIV ოლიმპიადის რეკორდი მოკრივეთა ტურნირს ეკუთვნის. ერთი აქაური ბილეთის ფასი ორჯერ აღემატება კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, მოცურავეთა და ჩოგბურთელთა ტურნირებზე დასასწრები ბილეთების ღირებულებას.

დღეს, 27 სექტემბერს მეოთხედფინალური ორთაბრძოლები დაიწყება. ამ ეტაპზე გამარჯვებით მოკრივე სულ ცოტა ბრინჯაოს მედალს დაეუფლება. 29 სექტემბერს ნახევარფინალური ბრძოლები გაიმართება. ფინალური შეხვედრები 1 და 2 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში პირველად ოქროს მედლებს ორი დღის განმავლობაში გაითამაშებენ.

სეულში მოკრივეთა ტურნირს ერთადერთი საბჭოთა არბიტრი ემსახურება. ეს გახლავთ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი სოხუმელი ზაურ გვაზავა.

⊙ **მძლეოსნობა.** „სპორტის დედოფლის" მობრძანებამ ოლიმპიადას შნო და ლაზათი შემატა. მსოფლიოს უძლიერეს მძლეოსანთა გამოსვლებს ყოველ დღე თვალს ადევნებს 80 ათასამდე მაყურებელი. უინტერესოდ ჯერჯერობით არც ერთი ფინალი არ ჩატარებულა.

სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის ოქროს მედალი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა, 24 წლის გენადი ავდეენკომ დაისაკუთრა შედეგით 238 სმ. უკვე ჩემპიონის რანგში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა, მაგრამ 244 სანტიმეტრი ვერ დასძლია.

სპრინტში დამარცხების შემდეგ ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი კარლ ლუისი ბრწყინვალედ გამოვიდა სიგრძეზე ხტომაში და პირველი ადგილი დაიკავა — 872 სმ. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც აშშ-ს წარმომადგენლებს ხვდათ. მეორე შედეგი მაიკ პაუელს ჰქონდა (849 სმ), მესამე — ლარი მირიკსს (827 სმ). საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესო შედეგი (VIII ადგილი) კრასნოდარელმა ლეონიდ ვოლოშინმა აჩვენა — 789 სმ.

კანადელი სპრინტერი ბენ ჯონსონი, რომელმაც 100 მეტრზე რბენა მოიგო, იღებს მილოცვებს:

— მსოფლიო რეკორდი, რომელიც სეულში დავამყარე, არ არის ზღვარი. ჩემის აზრით, დისტანციის გარბენა 9,75-შიც შეიძლება. მერმისს შევეცდები ამ განცხადების სისწორე დაგიმტკიცოთ.

სხვათა შორის, სპეციალისტებიც დაახლოებით იგივე აზრისა არიან. ყოველ შემთხვევაში, მათი განცხადებით ჯონსონს სასტარტო რეაქცია რომის მსოფლიო ჩემპიონატზე უკეთესი ჰქონდა.

კარლ ლუისმა ჯონსონთან დამარცხება ღირსეულად გადაიტანა: „ყველაფერი სწორად გავაკეთე. უკეთესი შედეგის ჩვენება, უბრალოდ, არ შემეძლო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ 100 მეტრზე უკეთესადაც შეიძლება რბენა".

⊙ **ცურვა.** 28 წლის მოსკოველმა ვლადიმერ სალნიკოვმა ჭეშმარიტი გმირობა ჩაიდინა. დიახ, სხვაგვარად ვერც შეაფასებთ ამ უბერებელი სპორტსმენის გამარჯვებას

ის. მე-4 გვ.



# XXIV ოლიმპიური თამაშები სეული, 1988 წელი

## ოლიმპიადის დღიური

(დასასრული)

(დაზე უფრო რთულ დისტანციაზე — 1500 მეტრზე. სალნიკოვი გამოყვანილი იყო ნაკრებიდან, თვლიდნენ, რომ მისი სპორტული კარიერა დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ვეტერანმა დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ შეუძლია გამოადგეს სპორტს.

თავი გამოიჩინა ამერიკელმა მეტ ბიონდმაც კიდევ ერთ ოლიმპიურ დისტანციაზე — 50 მეტრზე ცურვაში. მისი შედეგი — 22,14 ახალი მსოფლიო რეკორდია. ძველი მიღწევა ბიონდის თანამემამულეს თომას ჯეგერს ეკუთვნოდა 22,23.

⊙ **ველოსპორტი.** ტრეკზე შეჯიბრების ბოლო დღეს მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. ორი მათგანი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდათ წილად. ქალთა სპრინტის ფინალში ერიკა სალუმიაემ დაამარცხა კალგარის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კრისტა როტენბურგერი (გდრ) ანგარიშით — 2:1. კრისტა ბრწყინვალე მოციგურეა და... ველოსიპედისტი, მაგრამ გავრცელდა ხმა, რომ სეულის შემდეგ დიდ სპორტს თავს ანებებს. თუ ეს ცნობა მართალია, სპრინტში მოპოვებული ვერცხლის მედალი მისი სპორტული ჯილდოების კოლექციაში უკანასკნელი იქნება.

მეორე ოქროს მედალი საბჭოთა ველოსიპედისტებმა (ვიაჩესლავ ეკიმოვი, დიმიტრი ნელიუბინი, არტურას კასპუტისი და გინტაუტას უმარასი) გამოდევნებით გუნდურ რბოლაში მოიპოვეს.

სპრინტერ ვაჟთა ფინალში, როგორც მოველოდით, ოქროს მედალი დაუმარცხებელმა ლუც ჰესლიჰმა (გდრ) მოიპოვა, რომელმაც ორივე სერია მოუგო ნიკოლოზ კოვშს (სსრ კავშირი).

მეოთხე უმაღლესი ჯილდო დანიელ ველოსიპედისტს დან ფროსტს ხვდა. იგი უძლიერესი იყო ჯგუფურ რბოლაში 150 წრეზე. კუიბიშეველ მარატ განეევს ბრინჯაოს ჯილდო ერგო. სულ კი სეულის ოლიმპიურ ტრეკზე საბჭოთა ველოსიპედისტებმა 4 ოქროს, თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს.

დაიწყო საგზატკეცილო რბოლის ოსტატთა შეჯიბრება. ქალთა ინდივიდუალურ რბოლაში 82 კილომეტრზე პირველი ადგილი ჰოლანდიელმა მონიკ კნოლმა დაიკავა. საბჭოთა ველოსიპედისტებს ლაიმა ზილპორიტესა და ვალენტინა ევპაკს შესაბამისად მესამე და მეხუთე ადგილები ხვდათ (საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველ ექვსეულს დრო ერთნაირი ჰქონდა — 2:00.52).

⊙ **ფეხბურთი** (მეოთხედფინალური მატჩები). სსრ კავშირი — ავსტრალია 3:0 (0:0), გფრ — ზამბია 4:0 (3:0), იტალია — შვეცია 2:1 (0:0, 1:1), ბრაზილია — არგენტინა 1:0 (0:0).

⊙ **კალათბურთი.** ქალები. იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 69:57 (41:15), ჩინეთი — აშშ 79:94 (37:46), სამხრეთ კორეა — ბულგარეთი 87:97 (51:48), სსრ კავშირი — ავსტრალია 48:60 (30:30). ვაჟები. სსრ კავშირი — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 88:78 (40:31).

⊙ **ხელბურთი.** ქალები. სამხრეთ კორეა —აშშ 24:18, ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია 21:17, ჩინეთი — კოტ დიუვარი 37:12, სსრ კავშირი — ნორვეგია 19:19.

**ბალახის ჰოკეი.** ქალები. აშშ — ინგლისი 2:2, კანადა — გფრ 1:2, ჰოლანდია — არგენტინა 1:0, ავსტრალია —სამხრეთ კორეა 5:5, ვაჟები. სსრ კავშირი — გფრ 0:6, სსრ კავშირი — ინგლისი 1:3.

⊙ **წყალბურთი.** სსრ კავშირი — სამხრეთ კორეა 17:4.

⊙ **ჩოგბურთი.** ქალები. წყვილთა თანრიგი. ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო (ორივე — სსრ კავშირი) — სოჩიტელ ესკობედო და კლაუდია ერნანდესი (ორივე — მექსიკა) 6:2, 6:1, ნატალია ზვერევა და ლარისა სავჩენკო — უენდი ტერნბული და ელიზაბეტ სმაილი (ავსტრალია) 3:6, 2:6.

## იოსებ კრიხელი



მოულოდნელად გარდაიცვალა მსოფლიოს საჭადრაკო კომპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოსებ მიხეილის ძე კრიხელი.

დაიბადა 1931 წელს ქ. ცხინვალში. 1949 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. გორის 1-ლი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე. ასპირანტურის დამთავრებისა და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვების შემდეგ სამეცნიერო ცხოვრება დაუკავშირა მშობლიურ ქალაქში 1956 წელს ჩამოყალიბებულ მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სადაც მისი ხელმძღვანელობით ბევრი მნიშვნელოვანი თემა დამუშავდა.

ჭადრაკი ბავშვობიდან იტაცებდა. 1948 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის, მონაწილეობდა საკავშირო პირველობაშიც. მაგრამ მისი ბუნებისათვის საჭადრაკო კომპოზიცია უფრო მომხიბლავი და ახლობელი აღმოჩნდა. პირველივე წარმატებებმა წაახალისა და შემდგომში ჭადრაკის დაფა, ფიგურები და შემოქმედებით წვაში გათენებული ღამეები იოსების შეგნებული ცხოვრების განუყოფელ თანამგზავრად იქცა.

მეტად შთამბეჭდავია მისი შედეგები. იყო საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, მსოფლიო გუნდურ პირველობაში გამარჯვებული, 400-ზე მეტი სხვადასხვა პრიზის მფლობელი, რომლებიც მან ორმოცი წლის განმავლობაში მოიპოვა უამრავ საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებზე. მისი უნიკალური ნიჭი მრავალმხრივი იყო — ერთნაირი წარმატებით შეეძლო ემუშავა როგორც ორთოდოქსულ (ორსვლიანი, სამსვლიანი, მრავალსვლიანი ამოცანები, ეტიუდები), ისე ზღაპრულ (თვითშამათი, ნადიშამათი და სხვ.) ჟანრებში. მაგრამ უველაზე დიდ სპორტულ-შემოქმედებით წარმატებას მან ლოგიკური სკოლის მრავალსვლიან და ნადიშამათის ამოცანებში მიაღწია. ამიტომ კოლეგებმა იგი ამ ჟანრის ცოცხალ კლასიკოსად აღიარეს.

კომპოზიციის თანამედროვე ისტორიის ამსახველი „ფიდე-ს ალბომის" არც ერთი ტომი ი. კრიხელის უნაწარმოებოდ არ დასტამბულა. 1971 წელს ფიდე-მ ი. კრიხელს თვალსაჩინო სპორტული და შემოქმედებითი მიღწევებისათვის საერთაშორისო ოსტატის, ხოლო 1984 წელს დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ულმობელი სიკვდილი რომ არა იგი გააგრძელებდა ტრიუმფალურ აღმასვლას. მის მიერ კონკურსებზე გაგზავნილი ნაწარმოებები ჯერ კიდევ ელიან შეფასებას. ამით საჭადრაკო კომპოზიტორის მოღვაწეობა ცის მანათობლის ცხოვრებას ჰგავს. ორივეს ცხოვრება და ნათება სიკვდილის შემდეგაც გრძელდება.

მსოფლიო საჭადრაკო პოეზიამ ი. კრიხელის სახით დაკარგა სიცოცხლეშივე აღიარებული კლასიკოსი, ქართულმა საჭადრაკო კომპოზიციამ — პრობლემისტების უბადლო ლიდერი, მისმა საჭადრაკო კოლეგებმა კი — კეთილშობილი ადამიანი, სპეტაკი, უკომპრომისო პიროვნება და დიდი ავტორიტეტი.

**საქართველოს სსრ საჭადრაკო ფედერაცია, საჭადრაკო კომპოზიციის რესპუბლიკური კომისია.**

## ოლიმპიადის ტაბლო

**24 სექტემბერი.**

**ველოსპორტი. ტრეკი. ჯგუფური რბოლა 150 წრეზე.** 1. დან ფროსტი (დანია) — 38 ქ; 2. ლეო პელენი (ჰოლანდია) — 26; 3. მარატ განეევი (სსრკ) — 46 (ჩამორჩა ერთი წრით).

**ფარიკაობა. დაშნა. პირადი პირველობა. ვაჟები.** 1. არნდ შმიტი (გფრ); 2. ფილიპ რიბო (საფრანგეთი); 3. ანდრეი შუვალოვი (სსრკ).

**ძალოსნობა. 82,5 კგ.** 1. ისრაილ არსამაკოვი (სსრკ) — 377,5 კგ; 2. იშტვან მეჟი (უნგრეთი) — 370,0; 3. ლი ხენ კონი (ს. კორეა) — 367,5.

**ცურვა. 800 მ. თავისუფალი სტილი. ქალები.** 1. ჯანეტ ევანსი (აშშ) — 8.20,20; 2. ასტრიდ შტრაუსი (გდრ) — 8.22,09; 3. ჯული მაკდონალდი (ავსტრალია) — 8.22,93. **200 მ, კომპლექსური ცურვა. ქალები.** 1. დანიელა ჰუნგერი (გდრ) — 2.12,59; 2. ელენა დენდებეროვა (სსრკ) — 2.13,31; 3. ნოემი ილდიკო ლუნგი (რუმინეთი) — 2.14,85. **4X100 მ, კომბინირებული ესტაფეტა. ქალები.** 1. გდრ — 4.03,74; 2. აშშ — 4.07,90; 3. კანადა — 4.10,49; **200 მ, ბატერფლაი. ვაჟები.** 1. მიხაელ გროსი (გფრ) — 1.56,94; 2. ბენი ნილსენი (დანია) — 1.58,24; 3. ენტონი მოსი (ახალი ზელანდია) — 1.58,28. **100 მ, გულაღმა. ვაჟები.** 1. დაიჩი სუძუკი (იაპონია) — 55,05; 2. დევიდ ბერკოფი (აშშ) — 55,18; 3. იგორ პოლიანსკი (სსრკ) — 55,20; 4. სერგეი ზაბოლოტნოვი (სსრკ) — 55,37. **50 მ, თავისუფალი სტილი. ვაჟები.** 1. მეტ ბიონდი (აშშ) — 22,14; 2. ტომას ჯეგერი (აშშ) — 22,36; 3. გენადი პრიგოდა (სსრკ) — 22,71; ...6. ვლადიმერ ტკაჩენკო (სსრკ) — 22,88.

**25 სექტემბერი.**

**წყალში ხტომა. ტრამპლინი. ქალები.** 1. გაო მინი (ჩინეთი) — 580,23 ქ; 2. ლი ცზიანი (ჩინეთი) — 534,33; 3. კელი მაკკორმიკი (აშშ) — 533,19; 4. ირინა ლაშკო (სსრკ) — 526,65; 5. მარინა ბაბკოვა (სსრკ) — 506,43.

**ძალოსნობა. 90 კგ.** 1. ანატოლი ხრაპატი (სსრკ) — 412,5 კგ; 2. ნაილ მუხამედიაროვი (სსრკ) — 400,0; 3. სლავომირ ზავადა (პოლონეთი) — 400,0.

**სპორტული ტანვარჯიში. ქალები. ცალკეულ იარაღებზე პირველობა. ორძელი.** 1. დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 20,000; 2. დაგმარ კერსტენი (გდრ) — 19,987; 3. ელენა შუშუნოვა (სსრკ) — 19,962; ...5. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ). **თავისუფალი ვარჯიშები.** 1. დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 19,937; 2. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ) — 19,887; 3. დიანა დუდევა (ბულგარეთი) — 19,850. **ბჯენითი ხტომები.** 1. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ) — 19.905; 2. გაბრიელა პოტორაკი (რუმინეთი) — 19,830; 3. დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 19,818. **ძელი.** 1. დანიელა სილივაში (რუმინეთი) — 19,924; 2. ელენა შუშუნოვა (სსრკ) — 19,875; 3. გაბრიელა პოტორაკი (რუმინეთი) — 19,837; ...5. სვეტლანა ბოგინსკაია (სსრკ) — 19,787.

**ცურვა. 200 მ. ბატერფლაი. ქალები.** 1. კატლინ ნორდი (გდრ) — 2.09,51; 2. ბირტე ვაიგანგი (გდრ) — 2.09,91; 3. მერი მიგერი (აშშ) — 2.10,80; **200 მ. გულაღმა. ქალები.** 1. კრისტინა ეგერსეგი (უნგრეთი) — 2.09,29; 2. კატრინ ციმერმანი (გდრ) — 2.10,61; 3. კორნელია ზირჰი (გდრ) — 2.11,45. **50 მ, თავისუფალი სტილი. ქალები.** 1. კრისტინ ოტო (გდრ) — 25,49; 2. იან ვენი (ჩინეთი) — 25,64; 3. კატრინ მაისნერი (გდრ) — 25,71. **200 მ. კომპლექსური ცურვა. ვაჟები.** 1. ტამაშ დარნიი (უნგრეთი) — 2.00,17; 2. პატრიკ კიული (გდრ) — 2.01,61; 3. ვადიმ იაროშჩუკი (სსრკ) — 2.02,40; 4. მიხეილ ზუბკოვი (სსრკ) — 2.02,92. **1500 მ, თავისუფალი სტილი. ვაჟები.** 1. ვლადიმერ სალნიკოვი (სსრკ) — 15.00,04; 2. შტეფან პფაიფერი (გფრ) — 15.02,69; 3. უვე დასლერი (გდრ) — 15.06,15. **4X100 მ. კომბინირებული ესტაფეტა. ვაჟები.** 1. აშშ — 3.36,94; 2. კანადა — 3.39,28; 3. სსრკ — 3.39,96.

**აკადემიური ნიჩბოსნობა. ერთეულები. ქალები.** 1. იუტა ბერენდტი (გდრ) — 7.47,19; 2. ენ მარდენი (აშშ) — 7.50,28; 3. მაგდალენა გეორგიევა (ბულგარეთი) — 7.53,65. **ოთხადგილიანი წყვილები უმესაჭეოდ. ქალები.** 1. გდრ — 6.21,06; 2. სსრკ — 6.23,47; 3. რუმინეთი — 6.23,81. **რვაადგილიანი. ქალები.** 1. გდრ — 6. 15,17; 2. რუმინეთი — 6.17,43; 3. ჩინეთი — 6.21,83; 4. სსრკ — 6.22,35. **ოთხადგილიანი გახაშლელი უმესაჭეოდ. ვაჟები.** 1. გდრ — 6.03,11; 2. აშშ — 6.05,53; 3. გფრ — 6.06,22; ...6. სსრკ — 7.06,07. **ოთხადგილიანი წყვილები უმესაჭეოდ. ვაჟები.** 1. იტალია — 5.53,37; 2. ნორვეგია — 5.55,08; 3. გდრ — 5.56,13; 4. სსრკ — 5.57,18. **რვაადგილიანი. ვაჟები.** 1. გფრ — 5.46,05; 2. სსრკ — 5.48,01; 3. აშშ — 5.48,26.

**მძლეოსნობა. რბენა 3000 მ-ზე. ქალები.** 1. ტატიანა სამოლენკო (სსრკ) — 8.26,53; 2. პაულა ივანი (რუმინეთი) — 8.27,15; 3. ივონ მორეი (დიდი ბრიტანეთი) — 8.29,02; 4. ელენა რომანოვა (სსრკ) — 8.30,45; 5. ნატალია არტიომოვა (სსრკ) — 8.31,67. **რბენა 100 მ-ზე. ქალები.** 1. ფლორენს გრიფიტ-ჯოინერი (აშშ) — 10,54; 2. ეველინ ეშფორდი (აშშ) — 10,83; 3. ჰაიკე დრეჰსლერი (გდრ) — 10,85; ...6. ნატალია პომოშნიკოვა (სსრკ) — 11,00. **შუბის ტყორცნა. ვაჟები.** 1. ტაპიო კორიუსი (ფინეთი) — 84,28 მ; 2. იან ჟელეზნი (ჩეხოსლოვაკია) — 84,12; 3. სეპო რატი (ფინეთი) — 83,26; ...5. ვიქტორ ევსიუკოვი (სსრკ) — 82,32. **სიმაღლეზე ხტომა. ვაჟები.** 1. გენადი ავდეენკო (სსრკ) — 238 სმ; 2. ჰოლის კონვეი (აშშ) — 236; 3. პატრიკ შებერგი (შვეცია), რუდოლფ პოვარნიცინი (სსრკ) — 236. **რბენა წინაღობებით 400 მ-ზე. ვაჟები.** 1. ანდრე ფილიპსი (აშშ) — 47,19; 2. ამადუ დიაბა (სენეგალი) — 47,23; 3. ედვინ მოზესი (აშშ) — 47,56.

**26 სექტემბერი.**

**მძლეოსნობა. რბენა 800 მ-ზე. ქალები.** 1. სიგრუნ ვოდარსი (გდრ) — 1.56,10; 2. კრისტინ ვაჰტელი (გდრ) — 1.56,64; 3. კიმ გალაჰერი (აშშ) — 1.56,91; ...6. ინა ევსეევა (სსრკ) — 1.59,37. **შუბის ტყორცნა. ქალები.** 1. პეტრა ფელკე (გდრ) — 74,68; 2. ფატიმა უაიტბრედი (დიდი ბრიტანეთი) — 70,32; 3. ბეატე კოხი (გდრ) — 67,30; 4. ირინა კოსტიუჩენკოვა (სსრკ) — 67,00; ...6. ნატალია ერმილოვიჩი (სსრკ) — 64,84. **უროს ტყორცნა. ვაჟები.** 1. სერგეი ლიტვინოვი — 84,80; 2. იური სედიხი — 83,76; 3. იური ტამი (სამივე — სსრკ) — 81,16. **რბენა 800 მ-ზე. ვაჟები.** 1. პაულ ერენგი (კენია) — 1.43,45; 2. იოახიმ კრუზი (ბრაზილია) — 1.43,90; 3. საიდ აუიტა (მაროკო) — 1.44,06. **რბენა 110 მ-ზე წინაღობებით. ვაჟები.** 1. როჯერ კინგდომი (აშშ) — 12,98; 2. კოლინ ჯექსონი (დიდი ბრიტანეთი) — 13,28; 3. ტონი კემპბელი (აშშ) — 13,38; 4. ვლადიმერ შიშკინი (სსრკ) — 13,51. **რბენა 10 000 მ-ზე. ვაჟები.** 1. ბრაჰიმ ბუტაიები (მაროკო) — 27.21,46; 2. სალვატორე ანტიბო (იტალია) — 27.23,55; 3. კიმელი კიპკემბოი (კენია) — 27.25,16. **რბენა 400 მ-ზე. ქალები.** 1. ოლგა ბრიზგინა (სსრკ) — 48,65; 2. პეტრა მიულერი (გდრ) — 49,45; 3. ოლგა ნაზაროვა (სსრკ) — 49,90.

**დღეს, 27 სექტემბერს... ოლიმპიადაზე:**

შეჯიბრებებს აგრძელებენ კალათბურთელები, მოკრივეები, წყალბურთელები, ფრენბურთელები, ხელბურთელები, ნიჩბოსნები (ბაიდარა და კანოე), ძიუდოისტები, ცხენოსნები, მაგიდის ჩოგბურთელები, სინქრონული მოცურავეები, ჩოგბურთელები, ძალოსნები, მოფარიკავეები, ფეხბურთელები, ჰოკეისტები, (მძლეოსნები ისვენებენ).

ასპარეზობაში ჩაებმებიან თავისუფალი სტილით მოჭიდავეები და მშვილდოსნები.

ოლიმპიური მედლები გათამაშდება:

**ფარიკაობა.** ვაჟები. **რაპირა.** გუნდური პირველობა.

**ველოსპორტი. ვაჟები.** ჯგუფური საგზატკეცილო რბოლა.

**წყალში ხტომა.** ვაჟები. კოშკი.

**ცხენოსნობა.** ცხენის გაწვრთნის უმაღლესი კლასი. პირადი პირველობა.

**ძალოსნობა.** 110 კგ.

**ძიუდო.** 71 კგ.

**ცისფერ ეკრანზე:**

**10.30-16.45.** წყალში ხტომა. ველოსპორტი (1).

**16.00-18.50.** ცხენოსნობა. კრივი (2).

**19.55-22.00.** XXIV ოლიმპიურ თამაშებზე (1).

**22.50.** ძალოსნობა. ძიუდო. კრივი (1).

**0.20.** ფარიკაობა (2).

## ერთპიროვნული ლიდერი

**ჰოლანდიის** ქალაქ ტილბურგში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 13 ტურის შემდეგ 10 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. მას 2 ქულით ჩამორჩება ინგლისელი ნაიჯელ შორტი.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 39-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 20 (აფროსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 30 (ძალოსნობა), 33 (ფეხბურთი), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 4 (კრივი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 11 (ფრენბურთი), 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 28 (ტყვიის სროლა).

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

**„ლოკომოტივის" სტადიონი**
**27 სექტემბერი**
**ფეხბურთი**
სსრ კავშირის პირველობა.
II ლიგა, IX ზონა
**ოლიმპიური მომზადების ცენტრი-„ლოკომოტივი" (თბილისი) — „გოიაზანი" (ყაზახი).**
დასაწყისი 17 ს. 30 წ.

**„ლოკომოტივის" სტადიონი**
**28 სექტემბერი**
**რეგბი**
საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი.
**„ელმავალი" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი).**
დასაწყისი 17 ს. 30 წთ.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
**66435**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10854